საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/327
2019 წლის 5 ივლისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის №1-1/592 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,
ვბრძანებ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის №1-1/592 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 040030000.22.024.016067, 20.04.2011) დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ჰ^{59}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{59}) საქართველოს ნავსადგურში გემის შესვლა-გასვლის გაფორმება:

100-1000 GT – 280 ლარი;

1001-5000 GT – 510 ლარი;

5001-15000 GT – 820 ლარი;

15001< GT – 1050 ლარი.

შენიშვნა: თუ გემი ერთი და იმავე რეისის განმავლობაში შედის საქართველოს რამდენიმე ნავსადგურში, პირველ ნავსადგურში შესვლის დროს იხდის ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსაკრებლის 100%, ხოლო მეორე და შემდგომ ნავსადგურში შესვლის შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული საფასური მცირდება 50%-ით.“;

ბ) „ჰ^{60}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{60}) საქართველოს ნავსადგურში შემოსული გემებისათვის, გარდა სანავსადგურე და ტექნიკური მომსახურების ფლოტისთვის, 500 საერთო ტევადობის (GT) მქონე სამგზავრო, თევზსაჭერი, თევზსარეწი და თევზის ნედლეულისა და რეწვის პროდუქციის სატრანსპორტო გემებისათვის გარემოს დაბინძურების საფასური:

ჯგუფის N	GT ჯგუფები	ჯგუფის მინიმალური და მაქსიმალური ტარიფი (ლარი)		საფასურის გამოსათვლელი ფორმულა (დამრგვალებული ტარიფით)

I	1001 roundap -5000	195	875	F=195+(roundapVesselGT-1100)*0.174359
II	5001 roundap -15000	895	1225	F=895+(roundapVesselGT-5100)*0.0333334
III	15001 roundap – 30000	1245	1575	F=1245+(roundapVesselGT-15100)*0.022148
IV	30001 roundap – 45000	1595	2015	F=1595+(roundapVesselGT-30100)*0.0281879
V	45001 roundap – 60000	2030	2275	F=2030+(roundapVesselGT-45100)*0.01644292
VI	60001 roundap – ≥	2450		2450

შენიშვნა: თუ გემი ერთი და იმავე რეისის განმავლობაში შედის საქართველოს რამდენიმე ნავსადგურში, პირველ ნავსადგურში შესვლის დროს იხდის ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსაკრებლის 100%, ხოლო მეორე და შემდგომ ნავსადგურში შესვლის შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული საფასური მცირდება 50%-ით.";

გ) „ჰ[84]" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[84]) საქართველოს ნავსადგურში ყოველი შესვლა/გასვლის მიზნით საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემებით მომსახურების საფასური 1 GT-ზე ყველა ტიპის გემისთვის, გარდა თევზსაჭერი, თევზსარეწი და თევზის ნედლეულისა და რეწვის პროდუქციის სატრანსპორტო გემებისა – 0.15 ლარი.

შენიშვნა: სამხედრო გემები, აგრეთვე გემები, რომლებიც საქართველოს ნავსადგურებში შემოდიან ნავსადგურებისთვის სანავსადგურე ინფრასტრუქტურაზე საჭირო სამუშაოების შესასრულებლად გათავისუფლდებიან ამ ქვეპუნქტით დადგენილი საფასურის გადახდის ვალდებულებისგან. საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად დანიშნული სახაზო გემებისთვის ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფასურის განაკვეთი შემცირდება 20%-ით.

თუ გემი ერთი და იმავე რეისის განმავლობაში შედის საქართველოს რამდენიმე ნავსადგურში, პირველ ნავსადგურში შესვლის დროს იხდის ამ პუნქტით გათვალისწინებული მოსაკრებლის 100%, ხოლო მეორე და შემდგომ ნავსადგურში შესვლის შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული საფასური მცირდება 50%-ით."

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი **ნათელა თურნავა**